თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№1

ქ. ქუთაისი 19 აპრილი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ანდღულაძე	–ქ. ქუთაისის მერის მოადგილე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.
კოტე რატიანი	– ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ლევან ჭანჭალეიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ირაკლი გიორგაძე	– ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ნოდარ მიქიაშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი, სატენდერო კომისიის აპარატის უფროსის მოადგილე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩის ბოლო მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე გზის და ღია ნიაღვარსადენის მოწყობის და გუმათის დასახლებაში არსებული №28 საჯარო სკოლასთან მისასვლელი გზის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვის შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ნოდარ მიქიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის (ქალაქ ქუთაისში ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩის ბოლო მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე გზის და ღია ნიაღვარსადენის მოწყობის და გუმათის დასახლებაში არსებული №28 საჯარო სკოლასთან მისასვლელი გზის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა) პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – დავით ანდღულაძემ.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა.
კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალეიშვილმა და ნოდარ მიქიაშვილმა.

დაადგინეს: 1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ ქალაქ ქუთაისში ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩის ბოლო მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე გზის და ღია ნიაღვარსადენის მოწყობის და გუმათის დასახლებაში არსებული №28 საჯარო სკოლასთან მისასვლელი გზის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.

2. კონკურსი ჩატარდეს 2012 წლის 24 აპრილს 12:00 საათზე.

3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2012 წლის 24 აპრილის 12:00 საათამდე პერიოდი.

4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის–ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე–3 სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: **დავით ანდღულაძე**

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: **კოტე რატიანი**

კომისიის წევრები:

ლევან ჭანჭალეიშვილი

ირაკლი გიორგაძე

ნოდარ მიქიაშვილი